

საქართველოს კანონი სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულება

ეს კანონი საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის, „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონების თანახმად განსაზღვრავს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის ოდენობას, გადახდის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის ცნება

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი არის სავალდებულო გადასახდელი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც გადაიხდება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების უფლებით სარგებლობისათვის.

მუხლი 3. (ამოღებულია)

საქართველოს 2006 წლის 30 ივნისის კანონი №3429 - სსმ I, №27, 17.07.2006 წ., მუხ.225

მუხლი 4. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადება

1. ამ კანონით დადგენილი სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის გადახდა არის წვევამდელის სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების საფუძველი.

2. წვევამდელის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის გადახდის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის სამსახურს მის პირად საქმეში შეაქვს შესაბამისი ჩანაწერი და მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.

მუხლი 5. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის განაკვეთი

1. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას დაქვემდებარებული პირისათვის 18 თვით გადავადებისათვის შეადგენს 2000 (ორი ათას) ლარს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებით პირს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ორჯერ, მაგრამ არა უმეტეს 25 წლის ასაკისა.

3. თუ გადავადების უფლების გამოყენება ეწინააღმდეგება ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს, პირს შეუწყდება გადავადებით სარგებლობის უფლება და გაწვეული იქნება სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

საქართველოს 2006 წლის 30 ივნისის კანონი №3429 - სსმ I, №27, 17.07.2006 წ., მუხ.225

მუხლი 6. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის წესი

1. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის 90% ირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო 10% – შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში.

2. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

3. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მოცულობების განსაზღვრისა და ამ შემოსავლების მიღებაზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ყოველი წლის 1 აგვისტომდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დადგენილი წესით წარუდგენენ შესაბამის გაანგარიშებებს ამ მოსაკრებლიდან მომდევნო საბიუჯეტო წელს მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მოცულობების შესახებ.

საქართველოს 2003 წლის 7 მაისის კანონი №2230 - სსმ I, №12, 21.05.2003 წ., მუხ.66

საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონი №889 - სსმ I, №42, 31.12.2004 წ., მუხ.230

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.

მუხლი 7. სადავო საკითხების განხილვის წესი

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს წყვეტს სასამართლო.

მუხლი 8. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე
თბილისი,
2002 წლის 21 ივნისი.
№1531–III



შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს 2003 წლის 7 მაისის კანონი №2230 - სსმ I, №12, 21.05.2003 წ., მუხ.66
2. საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონი №889 - სსმ I, №42, 31.12.2004 წ., მუხ.230
3. საქართველოს 2006 წლის 30 ივნისის კანონი №3429 - სსმ I, №27, 17.07.2006 წ., მუხ.225
4. საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.

